



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის  
ექსპერტთა დასკვნას

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მიერ  
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ვიზიტის თარიღი: 28-29.11.2019  
დასკვნის წარდგენის თარიღი 13.12.2019

#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

#### წევრები:

ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ლანდა ლურსმანაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

## ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №30 გადაწყვეტილებით სასწავლო უნივერსიტეტ “გეომედს“ მიენიჭა ავტორიზაცია და განესაზღვრა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 900 სტუდენტით. დღევანდელი მონაცემით საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა - 193 (ასოთხმოდცამეტი); უნივერსიტეტის ფართი შეადგენს 4478 კვ.მ. დღევანდელი მონაცემებით სასწავლო უნივერსიტეტში აქტიური სტატუსის მქონე 813 სტუდენტია.

საქართველოს მოქალაქე		უცხო ქვეყნის მოქალაქე	
აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები	369	აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები	444
სტატუსშეჩერებული სტუდენტები	154	სტატუსშეჩერებული სტუდენტები	82
ბოლო სამი წლის განმავლობაში სტატუსშეწყვეტილი სტუდენტები	54	ბოლო სამი წლის განმავლობაში სტატუსშეწყვეტილი სტუდენტები	36

სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს 7 საგანმანათლებლო პროგრამას:

1. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)
2. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
3. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)
4. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)
5. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)
6. ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)
7. ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)

სასწავლო უნივერსიტეტს სურს ადგილების ზღვრული რაოდენობა გაზარდოს 1200 სტუდენტით, შესაბამისად უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა - 2100 სტუდენტი.

## შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა (ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და ვიზიტი)

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძ... საფუძველზე 28-29 ნოემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტი წარიმართა მშვიდ სამუშაო გარემოში, ინტერვიუები წარიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით, განხორციელდა სასწავლო ბაზები დათვალიერება. უსდ-ს მხრიდან იყო სრული თანამშრომლობა, დროულად იქნა წარმოდგენილი მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია. კონტიგენტის მომატების მიზნით განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ძირითადი აქცენტები გააკეთა სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებულ სტანდარტებზე და შეაფასა უსდ-ს საქმიანობა და ფაქტობრივი მდგომარეობა.


სტუდენტების არსებული რაოდენობა ინსტიტუციაში: 813  
რამდენი სტუდენტის დამატება სურს ინსტიტუციას: 2100

ექსპერტა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

- განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არის სტუდენტთა ზემოთ მოცემული რაოდენობით გასაზრდელად;
- განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არ არის სტუდენტთა ზემოთ მოცემული რაოდენობით გასაზრდელად.

ხელმოწერები

ხათუნა საგანელიძე - 

ლევან ცაგარელი - 

ლანდა ლურსმანაშვილი - 



ქეთევან კანკავა -

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა უნდა შეცვალოს სტუდენტთა და პროფესორთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი იმგვარად, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობრივი თანაფარდობა იყოს ერთმნიშვნელოვნად ადეკვატური.
- უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობას თითოეულ ადმინისტრაციულ რგოლში და შეაფასოს, როგორი იქნება მათი საქმიანობის ეფექტიანობა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა მართვაში მათი წარმომადგენლობის გაზრდით აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში.
- მართვის მდგრადობისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა თავის დებულებაში უნდა განსაზღვროს რექტორის არჩევის (ამგვარი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში) წესი.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ეთიკის კოდექსისა და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების ამოქმედება სწავლა-სწავლებისა და კვლევის ყველა საფეხურზე.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წამახალისებელი მექანიზმების განვითარება-გაფართოების გეგმა და გამოყოს მის

განსახორციელებლად საჭირო რესურსები იმგვარად, რომ ისინი საკმარისი იყოს სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტისთვის.

- მოახდინეთ მედიცინის დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების დროული დანერგვა და მისი განხორციელების და შედეგების მონიტორინგი, რათა შეაფასოთ თუ როგორ მოხდება მისი წარმართვა გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში
- მოამზადეთ როგორც სტუდენტთა არსებული, ისე გაზრდილი კონტინგენტისთვის საჭირო რაოდენობა PBL ტუტორები და OSCE-ს განმარტებლები
- საერთაშორისო კავშირების გაძლიერება, გაცვლითი პროგრამების ამოქმედება.
- დამსაქმებელთა როლის და ჩართულობის გაძლიერება, რათა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდოს.
- სტუდენტური თვითმმართველობა ოფიციალურად იყოს და თან უფრო მეტად წარმომადგენლობითი აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში.
- სტუდენტების კონტინგენტის გაზრდის პერიოდისთვის იქონიეთ რეკონსტრუქტურირებული /გარემონტებული და სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ფართი
- დაგეგმეთ სამომავლო ბიუჯეტი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, გაითვალისწინეთ სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის მონაცემები
- გააძლიერეთ ფინანსური სამსახურის მონაწილეობა კვლევითი პროექტების განხილვის და დამტკიცების პროცედურებში

## რჩევები

- სასურველია, უნივერსიტეტის დებულებაში აღიწეროს ყველა სტრუქტურული ერთეული როლი, საქმიანობა და ფუნქციები, რათა გამოირიცხოს მათი საქმიანობის სფეროთა ურთიერთგადაფარვა.
- კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად უნივერსიტეტს დასჭირდება ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით მქონე თანამშრომლებით იქნება დაკომპლექტებული.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კვლევის დაფინანსების მკაფიო მექანიზმები და კრიტერიუმები.
- კარიერული მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისების მიწოდების მიზნით სასურველია, გაფორმდეს დამატებითი ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან.
- უსდ-ის მენეჯმენტმა დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად კვლავ გადახედოს სტუდენტთა მისაღები რაოდენობის განაწილებას პროგრამების მიხედვით

## საუკეთესო პრაქტიკები

- ბიზნესპროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები

- უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმები
- სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული „ფიზიკური რეაბილიტაციის კლინიკა“
- საუკეთესოდ აღჭურვილი ანატომიის და კლინიკური უნარების დეპარტამენტები
- საკუთარი სტრატეგიული საფანტომო ლაბორატორია

**1. შეაფასეთ რამდენად უკავშირდება ინსტიტუციის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა უსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

უკავშირდება     არ უკავშირდება     ნაწილობრივ უკავშირდება

**გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები**

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისიაა გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, ორიენტირებულს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე მედიცინის, სტრატეგიული, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფინანსების, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში.

სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025), რომელიც შემუშავებულია უსდ-ს მისიის გათვალისწინებით. აღნიშნულ დოკუმენტში ასახული სამომავლო საქმიანობის თანმიმდევრული გეგმა ემსახურება მისიის მიღწევას და სტუდენტების წარმატებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, პირველი მიზანს წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარება, რომლის ამოცანა 7 ითვალისწინებს 2020-2021 წლებში სტუდენტების კონტიგენტის გაზრდას. ეს ინფორმაცია ასევე ასახულია სამოქმედო გეგმაში (2018-2021).

უნივერსიტეტს დაწყებული აქვს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სასწავლო კორპუსის ნაწილი გარემონტებულია და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, თუმცა მეორე ნაწილი რჩება მოსაწესრიგებელი. ლოგიკურია, რომ სტრატეგიულად ჯერ უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამის შემდეგ იქნას მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025)

სამოქმედო გეგმა (2018-2021)

სასწავლო უნივერსიტეტის მისია

უსდ-ს თვითშეფასება

**რეკომენდაციები**

**რჩევები**

**საუკეთესო პრაქტიკები**

2. შეაფასეთ ინსტიტუციის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში, მათ შორის თუ როგორ განსაზღვრავს ინსტიტუცია სტუდენტების რაოდენობას პროგრამებზე, რამდენ სტუდენტს მიიღებს ყოველწლიურად სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, რა წინაპირობების დაკმაყოფილებით და ა.შ. (ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა შესაძლებლობას არ იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის, გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

**გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები**

სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, რექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან რექტორი, რექტორის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მთავარი ბუღალტერი, ფაკულტეტის დეკანები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ბიბლიოთეკის დირექტორი.

მიუხედავად დებულებით გაწერილი აკადემიური საბჭოს შემადგენლობისა, ადმინისტრაციის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, როგორც აღნიშნული საბჭოს წევრი. საცნაურია, რომ სტუდენტური თვითმმართველობის უფროსი არის სტუდენტების ინტერესების ერთადერთი დამცველი აკადემიურ საბჭოში და ისიც არაოფიციალური სტატუსით. მისი წარმომადგენლობითობა კიდევ უფრო საეჭვო გახდება სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში. შედეგად, სტუდენტები ფაქტობრივად არ მიიღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში, რაც ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის დებულებაში აღწერილ მართვის პრინციპებს (მუხლი 6, პუნქტი 6.1.3). ამასთან, უნივერსიტეტის დებულებაში არ არის აღწერილი რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის — საერთაშორისო ურთიერთობებისა და

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ცენტრებისა და დეპარტამენტების, კლინიკებისა და გამომცემლობის — ფუნქციები და პასუხისმგებლობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ერთეულების როლი და მნიშვნელობა არაა სათანადოდ გააზრებული უნივერსიტეტის მიერ.

უსდ-ში ფუნქციონირებს 4 ფაკულტეტი:

1. სტომატოლოგიის ფაკულტეტი
2. ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
3. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი
4. მედიცინის ფაკულტეტი

ვიზიტის დროს თვალშისაცემი იყო ადმინისტრაციული პერსონალის სიმწირე ადმინისტრაციულ ერთეულებში. მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს თითო ან ორ-ორი თანამშრომელი, რის გამოც გაზრდილი კონტინგენტის პირობებში შეიძლება პრობლემური გახდეს უნივერსიტეტის მართვა (ამჟამად იგეგმება მხოლოდ სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურში ერთი ახალი თანამშრომლის აყვანა. სხვა სამსახურებში ახალი პერსონალის აყვანასთან დაკავშირებით რაიმე გეგმა არ მოიპოვება.). ასევე, შეიმჩნევა სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურისა და სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციათა და საქმიანობის ურთიერთგადაფარვა.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ სტუდენტური სერვის-ცენტრის არსებობა, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს კონსულტაციებს აკადემიურსა და ადმინისტრაციულ საკითხებზე. თუმცა მასში ამჟამად მხოლოდ ორი თანამშრომელია დასაქმებული, რაც გადასახედი იქნება კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში.

უნივერსიტეტის მართვის მდგრადობის მხრივ პრობლემური გვეჩვენება რეგულაციის არარსებობა რექტორის არჩევის/დანიშვნის შესახებ. ამგვარი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში უნივერსიტეტი შეიძლება აღმოჩნდეს ადმინისტრაციულ კრიზისში, რადგან უნივერსიტეტის მართვა უკიდურესად ცენტრალიზებულია და, ამჟამინდელი საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით, რექტორი ფაქტობრივად მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვის ყველა დონეზე.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს შეუძლია გამოიყენოს მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება (შენობები) და კლინიკების საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვერ ხედავს ფინანსურ საფრთხეს სტუდენტების გაზრდილი კონტინგენტის შეუვსებლობის შემთხვევაში. გაზრდილი კონტინგენტის მართვას ერთმნიშვნელოვნად წაადგება ელექტრონული საქმისწარმოებისა და რეესტრის სისტემა (emis), რომელიც ერთი წლის წინ ამოქმედდა უნივერსიტეტში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უძღვება ორი თანამშრომელი. საჭიროების შემთხვევაში, მათ ეხმარებიან ფაკულტეტთა დეკანატების თანამშრომლები. ისინი სისტემატურად (სემესტრში ორჯერ) ახორციელებენ პროფესორებისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. თუმცა გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში განხორციელებული გამოკითხვის შედეგების დროული და შედეგიანი ანალიზი შეიძლება შეფერხდეს ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალის მცირერიცხოვნობის გამო, მით უფრო, რომ გამოკითხვა სავალდებულოა, იგი მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს

და, ამრიგად, მონაცემების რაოდენობა ძალიან დიდია. ეს ძალიან დასანანი იქნება, რადგან აშკარაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები საკმაოდ შედეგიანად მუშაობს უნივერსიტეტში: გამოკითხვების საფუძველზე არაერთი სასიკეთო ცვლილება განხორციელებულა.

ეთიკის კოდექსის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებულის ხარისხი ისევე, როგორც ეთიკის კოდექსის დარღვევისა და გამოყენების შემთხვევების რაოდენობა უნივერსიტეტში ძალზე დაბალია, ე.ი. ეთიკის კოდექსი ამჟამად უფუნქციოა. ვიზიტის განმავლობაში ასევე არ დადასტურდა პლაგიატის აღმოჩენისა და აცილების პრაქტიკა. გასათვალისწინებელია, რომ პლაგიატური ნაშრომების შექმნისა და ეთიკის კოდექსის დარღვევის აღბათობა გაიზრდება სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის პირობებში. და თუ უნივერსიტეტი არაფერს არ მოიმოქმედებს ეთიკის კოდექსის დაცვისა და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების ასამოქმედებლად, უნივერსიტეტში შექმნილი აკადემიური პროდუქტის ხარისხი ძალზე სათუო აღმოჩნდება.

საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტში ძირითადად დაგეგმვის საფეხურზეა. იგეგმება თანამშრომლობა ინდურ უნივერსიტეტთან, ინდოელ პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანა და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში, ერთობლივი საზაფხულო სკოლების მოწყობა. ამჟამად დამყარებულია თანამშრომლობა გერმანელ პროფესორთან, რომელიც უნივერსიტეტს უწევს კონსულტაციებს სამეცნიერო მიმართულებით და მოაზრებულია მომავალი სადოქტორო ნაშრომების (თანა)ხელმძღვანელებად. უნივერსიტეტში ასევე არსებობს უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით სიმპოზიუმის ჩატარების გამოცდილება. შედეგიანი ჩანს უცხოელი (ძირითადად, ინდოელი) სტუდენტების მოზიდვის მექანიზმებიც, რომლებიც უნივერსიტეტში მოქმედებს. თუმცა უცნაურია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციათა შეთავსება ერთადერთი თანამშრომლის მიერ, რომელიც ამავე დროს აკადემიურ თანამდებობასაც ითავსებს. შედეგად, ინტერნაციონალიზაცია (საერთაშორისო კვლევითი პროექტები, გაცვლითი პროგრამები და .ა.შ.) რჩება უნივერსიტეტის უკიდურესად სუსტ რგოლად. კითხვის ნიშის ქვეშ რჩება საკითხი, როგორ გეგმავს უნივერსიტეტი აქტუალური ცოდნის მიცემას სტუდენტებისთვის ინტერნაციონალიზაციის გარეშე.

უნივერსიტეტს არ გააჩნია სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაც კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია იქნებოდა, რაც ერთობ უცნაურია, თუ გავითვალისწინებთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სურვილს, მომავალში შექმნას სადოქტორო პროგრამები. ამ ფუნქციას გარკვეულწილად ასრულებს რექტორის მოადგილე სამეცნიერო მიმართულებით. თუმცა მისი საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება პროფესორებისთვის ინფორმაციის მიწოდებით ადგილობრივი კვლევითი გრანტების შესახებ და პროფესორთა კვლევითი იდეების შუამდგომლობით აკადემიურ საბჭოსთან. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ იგი ასევე არ მონაწილეობს სამაგისტრო კვლევების დაგეგმვასა და შეფასებაში.

უნივერსიტეტის ზრუნვა პროფესორთა კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე შემოიფარგლება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად სამგზავრო ხარჯის დაფარვითა და საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გასაგზავნად კონსულტაციის ჩატარებით. რაკი ამჟამად კვლევითი თვალსაზრისით აქტიურ პროფესორთა რაოდენობა მცირეა, აკადემიური საბჭო აკმაყოფილებს ყველა მსურველს. თუმცა უცნობია, რამდენად მზადაა უნივერსიტეტი და რა სტრატეგია გააჩნია იმისთვის, რათა იზრუნოს თავის პროფესორთა კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე აკადემიური პერსონალის გაზრდილი კონტინგენტის პირობებში. ასევე



უცნობია, როგორი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს აკადემიური საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას პროფესორთა კვლევითი ინიციატივების დაფინანსების შესახებ.

ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე კვლევითი პროექტი, რომელთა დაფინანსების წყაროც უნივერსიტეტის ბიუჯეტია. კვლევის მხარდასაჭერად 2019-2020 სასწავლო წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 243 640 ლარი, რაც მთლიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტის 4%-ია. თუმცა კვლევითი პროექტების ბიუჯეტები და მათი მონიტორინგის ამსახველი რაიმე დოკუმენტაცია უნივერსიტეტში არ მოიპოვება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები უნივერსიტეტში ჯერჯერობით გაუმართავია. წლიური ბიუჯეტი არ არის თანხვედრაში 3-წლიან სამოქმედო გეგმასთან, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო კვლევების ფონდი 2018-2021 წლებისათვის ჯამურად 125 000 ლარითაა განსაზღვრული. ამ ორ რიცხვს შორის კავშირი დოკუმენტებში არ ჩანს და ვერც ინტერვიუების დროს იქნა დადგენილი. სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში ასევე ვერ დადასტურდა ვიზიტის დროს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წამახალისებელი მექანიზმები (სტიპენდიები, სტუდენტური კონფერენციები). მაგრამ ბუნდოვანია, რამდენად არის უნივერსიტეტი მზად, შეინარჩუნოს და გააფართოოს ეს მექანიზმები სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის სტრუქტურა
- უნივერსიტეტის დებულება
- ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი
- აკადემიური-აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა
- უცხოელი სტუდენტების და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია
- სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო პოლიტიკა
- ხელშეკრულება ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან
- განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021)
- ინტერვიუების შედეგები

### რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობას თითოეულ ადმინისტრაციულ რგოლში და შეაფასოს, როგორი იქნება მათი საქმიანობის ეფექტიანობა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა მართვაში მათი წარმომადგენლობის გაზრდით აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში.

- მართვის მდგრადობისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა თავის დებულებაში უნდა განსაზღვროს რექტორის არჩევის (ამგვარი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში) წესი.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ეთიკის კოდექსისა და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების ამოქმედება სწავლა-სწავლებისა და კვლევის ყველა საფეხურზე.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წამახალისებელი მექანიზმების განვითარება-გაფართოების გეგმა და გამოყოს მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები იმგვარად, რომ ისინი საკმარისი იყოს სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტისთვის.

### რჩევები

- სასურველია, უნივერსიტეტის დებულებაში აღიწეროს ყველა სტრუქტურული ერთეულის როლი, საქმიანობა და ფუნქციები, რათა გამოირიცხოს მათი საქმიანობის სფეროთა ურთიერთგადაფარვა.
- კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად უნივერსიტეტს დასჭირდება ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით მქონე თანამშრომლებით იქნება დაკომპლექტებული.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კვლევის დაფინანსების მკაფიო მექანიზმები და კრიტერიუმები.

### საუკეთესო პრაქტიკები

- სტუდენტური სერვის-ცენტრი
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები
- უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმები

3. შეაფასეთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციაში არსებული პროგრამები სტუდენტთა მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში; რამდენად იქნება შესაძლებელი პროგრამებში გამოყენებული დარგის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდების განხორციელება და პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, სტუდენტთა გაზრდილი ოდენობის ფარგლებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში, უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უსდ-ში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მასში გათვალისწინებულია პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მრავალმხრივი ჩართულობა, თუმცა არ არის განსაზღვრული დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამაში ცვლილებების შეტანის ეტაპზე. ცვლილებების დამტკიცება მოხდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე, რომლის ოქმის მიხედვით პროგრამის განახლების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. ინტერვიუებით ვერ დასტურდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ფორმალიზებული ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამები განიცდის ცვლილებას დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისად და ეს უწყვეტი სამუშაო პროცესია. უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამების, მათ შორის მედიცინის ორივე პროგრამის განახლებაზე. მედიცინის პროგრამამ განიცადა ძირეული ცვლილება და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის მაისში, მაგრამ განახლებული კურიკულუმი ჯერ არ არის იმპლემენტირებული და მოქმედი ცხრილი (მედიცინის პროგრამებისათვის) აგებულია მედიცინის ძველი პროგრამის მიხედვით, როგორც პირველი, ისე მაღალი სემესტრებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, მუშაობის პროცესში მათ მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მომატებული კონტიგენტისათვის აუცილებელი გაზრდილი საჭიროებები, რაც ძირითადად პროგრამაში დამატებითი პერსონალის ჩართვას გულისხმობს. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა განახლებული სახით ჯერ არ ფუნქციონირებს, სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში პროგრამის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობის გადამოწმება ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ამ ეტაპზე შესაძლებელი არ იყო.

მედიცინის ახალი პროგრამების მიხედვით, სწავლების და შეფასების მეთოდების სპეციფიკიდან გამომდინარე, კერძოდ, PBL სწავლება და OSCE-ს ტიპის გამოცდების განხორციელება რამდენად იქნება შესაძლებელი და როგორ უზრუნველყოფს ამ პროცესს უსდ გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში, ვერ გაირკვა, რადგან ვიზიტის დროს არ დადასტურდა PBL-ტუტორების და ოთახების შესაბამისი რაოდენობა, თუმცა მოიპოვება კარგად აღჭურვილი OSCE-ს საგამოცდო სივრცე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განახლების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სასწავლო ცხრილი 2019-2020
- აკადემიური საბჭოს ოქმი 05.2019
- გასაუბრების შედეგები
- ფაქტობრივი მდგომარეობა

### რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა დროულად უნდა დანერგოს მედიცინის დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, უზრუნველყოს მისი განხორციელება და შედეგების მონიტორინგი, რათა შეაფასოს, როგორ წარიმართება იგი გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში.

### რჩევები

## საუკეთესო პრაქტიკები

4. გთხოვთ შეაფასოთ რამდენად იძლევა ინსტიტუციის აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა (მათ შორის სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა) და კვალიფიკაცია იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუციის მიერ ეფექტურად იქნას წარმატული საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესები, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია არ იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

**გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები**

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას უნივერსიტეტი ეყრდნობა უმეტესად გერმანულსა და ამერიკულ მოდელებს, თუმცა ვერ დასახელეს — კონკრეტულად რომელ წყაროებს. ამჟამინდელი მონაცემებით, უნივერსიტეტში დასაქმებულია 87 პროფესორი. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა და პროფესორთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც თითო პროფესორი უნდა მოემსახუროს ოცდახუთ სტუდენტს. ამ გაანგარიშებით, უნივერსიტეტს შეუძლია მოემსახუროს (87X25) 2175 სტუდენტს, თუმცა იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კონტინგენტის დაგეგმვისას უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შემდეგი თანაფარდობით:

- 1 პროფესორი / არაუმეტეს 35 სტუდენტისა
- 1 ასოცირებული პროფესორი / არაუმეტეს 32 სტუდენტისა
- 1 ასისტენტ-პროფესორი / არაუმეტეს 27 სტუდენტისა
- 1 ასისტენტი / არაუმეტეს 25 სტუდენტისა

ამ თანაფარდობათა გათვალისწინებით, 2100 სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს სჭირდება 60 პროფესორი, 66 ასოცირებული პროფესორი, 78 ასისტენტი. პროფესორი და 84 ასისტენტი. ამგვარი თანაფარდობა შორსაა ამჟამინდელი მოცემულობისგან, რომლის ცვლილების სტრატეგია და რესურსები უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია.

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ გამოიყენება სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, არის - 1 სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი

არაუმეტეს 200 სტუდენტზე. ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტების/კოორდინატორების რაოდენობა მცირეა (მაგალითისათვის, მედიცინის ფაკულტეტის დეკანატში მუშაობს 2 სპეციალისტი, სხვა დეკანატებში - თითო-თითო), რომლებმაც, შესაძლებელია, ვერ დააკმაყოფილონ სტუდენტების არსებული (მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში - 595) და მოთხოვნილი (მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში - 1175) რაოდენობა.

მედიცინის პროგრამები, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი პროგრამა, დიდწილად მოწვეული პერსონალის ხარჯზე სრულდება, რაც პროგრამის მდგრადობას ეჭვქვეშ აყენებს, მით უფრო მზარდი კონტიგენტის პირობებში.

სხვა პროგრამებზე ფაქტობრივი მაჩვენებლები უნივერსიტეტის სამიზნე ნიშნულების შესაბამისია. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პერსონალი ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივეა. მაგალითისათვის, მედიცინის ქართულენოვან პროგრამაზე დასაქმებულია 19 პროფესორი, ინგლისურენოვან პროგრამაზე - 10 პროფესორი, რომელთაგან ყველა არის დასაქმებული ქართულ პროგრამაზეც. შესაბამისად, ფაქტობრივად, ამ ორ პროგრამაზე ჯამში დასაქმებულია არა 29, არამედ 19 პროფესორი. მსგავსი მდგომარეობაა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე.

შესაბამისად, აკადემიური პერსონალი პროგრამებზე არათანაბრადაა გადანაწილებული და ჯამური სურათი აკადემიური პერსონალის კუთხით ასე გამოიყურება:

ჯამურად ყველა პროგრამაზე	ფაქტობრივი მაჩვენებელი	813 სტუდენტზე გათვლით (სტუდენტების არსებული რაოდენობა)	2100 სტუდენტზე გათვლით (სტუდენტების მოთხოვნილი რაოდენობა)
პროფესორი	34	24	60
ასოცირებული პროფესორი	41	26	66
ასისტენტ პროფესორი	9	116	78
ასისტენტი	3	33	84
აკადემიური პერსონალი	87	33	84
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	106	55	140

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია მისაღები სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 4 წლის განმავლობაში გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში გადანაწილება, რომლის თანახმად ძირითადი რაოდენობა მოდის მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 400 სტუდენტი (ყოველწლიურად 100 სტუდენტი). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე აკადემიური და მოწვეული პერსონალის დათვლის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული უნდა იქნას ინგლისური ენის კომპეტენციის მქონე პერსონალის რაოდენობა და შესაბამისად მოხდეს საჭირო რაოდენობის პროპორციული გადათვლა.

უსდ-ს მიერ პერიოდულად ახლდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, ადმინისტრაციამ წარმოადგინა პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე ჯამური დატვირთვა უნივერსიტეტში (სასწავლო და ადმინისტრაციული). გადამოწმებული შემთხვევებისთვის სხვადასხვა დოკუმენტებში (დატვირთვის სქემა, სახელფასო უწყისი, ცხრილი) ასახული დატვირთვის მაჩვენებლები თანხვედრშია ერთმანეთთან.

პორტალზე ატვირთული მაჩვენებლებიც გადამოწმებულ შემთხვევებში სწორია, თუმცა აღსანიშნავია, რომ აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფ პირებს პორტალის მონაცემებში მითითებული აქვთ მხოლოდ აკადემიური თანამდებობები, დატვირთვა კი ჯამურია, რაც პირველ ეტაპზე გაურკვეველობის წარმოშობი იყო ექსპერტებისათვის. ამასთან, დაფიქსირდა შემთხვევა, რომ მოწვეული პედაგოგი, რომელიც ფიგურირებს დატვირთვის უწყისსა და ცხრილში, არ არის დაფიქსირებული პორტალის მონაცემებში.

უსდ-ში დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მოთხოვნებს, თუმცა ვინაიდან მედიცინის პროგრამაზე იგეგმება კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში პიველსავე წელს 100 (ინგლისურენოვანი) და 45 (ქართულენოვანი) სტუდენტის მიღება, აუცილებელია ახალი კადრების მოზიდვა და ტრენინგი/გადამზადება, განსაკუთრებით მედიცინის პროგრამების PBL სწავლებაში და OSCE ტიპის გამოცდებში მონაწილე პერსონალისთვის, აღნიშნული აქტივობა ემსახურება როგორც ლექტორების პროფესიულ განვითარებას, ასევე უსდ-ს მიერ დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესრულებას.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- კონკურსის შედეგები
- პირადი საქმეები
- განაცხადის ფორმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

### **რეკომენდაციები**

- უნივერსიტეტმა უნდა შეცვალოს სტუდენტთა და პროფესორთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი იმგვარად, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობრივი თანაფარდობა იყოს ერთმნიშვნელოვნად ადეკვატური.
- უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს PBL ტუტორებისა და OSCE-ს განმახორციელებების საჭირო რაოდენობა როგორც სტუდენტთა არსებული, ისე გაზრდილი კონტინგენტის გათვალისწინებით.

### **რჩევები**

#### **საუკეთესო პრაქტიკები**

5. გთხოვთ შეაფასოთ რამდენად ეფექტურად განახორციელებს ინსტიტუცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებს სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

ეფექტურად განახორციელებს  ეფექტურად ვერ განახორციელებს

**გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები**

უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეული, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტზე. უსდ-ს ხარისხის სამსახური სემესტრში ორჯერ ატარებს სტუდენტების ანონიმურ გამოკითხვას, განიხილავს მათ საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებას. დადებითად შეიძლება შეფასდეს უსდ-ში არსებული სერვის-ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე და კოორდინირებას უწევს სხვადასხვა პროცესს. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება საკონსულტაციო საათების არსებობა და ინფორმაციის მიღების მოქნილობა. თუმცა, სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის შემთხვევაში სერვის-ცენტრის დატვირთვა გაიზრდება, რასაც ცენტრის ორი თანამშრომელი ვერ გაუმკლავდება. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ცენტრის ადამიანური რესურსის გაზრდა-გამდიერებაზე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, რიგ შემთხვევებში მათი ფუნქციების ურთიერთგადაკვეთა ხდება, სტუდენტთა კონტინენტის გაზრდამდე უსდ-ს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს გაწერილი, ორივე ადმინისტრაციული ერთეულის უფლება-მოვალეობები. სტუდენტური თვითმმართველობა აერთიანებს როგორც ქართველ ასევე საერთაშორისო სტუდენტებს თითოეული ფაკულტეტიდან. სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად ეს სამსახურები ჩართულია სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების (მეტწილად კულტურული, საქველმოქმედო, სპორტული) დაგეგმვა-განხორციელებაში, აკადემიურ საბჭოს სხდომებს ესწრება და სტუდენტურ ინიციატივებს აქდერებს მხოლოდ თვითმმართველობის პრეზიდენტი, რაც გადასახედა; სასურველია, სტუდენტური თვითმმართველობა იყოს უფრო მეტად წარმომადგენლობითი აკადემიური საბჭოს სხდომებზე.

უსდ-ში კარიერული მხარდაჭერის სერვისებს კოორდინირებას უწევს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, წარმოდგენილი ერთი თანამშრომელით, რაც კონტინენტის გაზრდის შემთხვევაში იქნება გადასახედი, უსდს ამ მიმართულებით დაწყებული აქვს მუშაობა და გამოცხადებული აქვს ვაკანსია 1 პერსონაზე აღნიშნულ სამსახურში. უნივერსიტეტს 10-მდე ორგანიზაციასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლითაც სხვა პუნქტებთან ერთად გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის გავლა, სტაჟირება და წარჩინებული კურსდამთავრებულების შემთხვევაში მათი დასაქმება, რაც დადასტურდა ინტერვიუებით, როგორც დამსაქმებლების, ასევე სტუდენტების მხრიდან. კონტინენტის გაზრდის შემთხვევაში კარიერული მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისების მიწოდების მიზნით სასურველია, გაფორმდეს დამატებითი ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციები სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონული სისტემის და საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას და ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო ადგილობრივ ღონისძიებებში. ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც სტუდენტების ჩართულობა მაღალია, ხდება გამარჯვებულის გამოვლენა და შიდა სტიპენდიის დანიშვნა, როგორც ქართველი ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის სტუდენტებს მიღებული აქვთ არაერთი

პრიზი სპორტულ აქტივობებში. ინტერვიუებით დასტურდება ინდივიდუალური სწავლების გეგმის ხელმისაწვდომობა, რაც დადებითადაა შესაფასებელი.

სტუდენტების ჩართულობის პრაქტიკა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში და სამეცნიერო კვლევებში არ გამოიკვეთა. უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს საერთაშორისო კავშირები, ჩაერთოს "ერასმუს+" ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში. უნივერსიტეტს დაწყებული აქვს მოლაპარაკება ინდოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან, რაც სხვა საკითხებთან ერთად ეხება სტუდენტების გაცვლით პროგრამებს, თუმცა ამ ეტაპზე შეუძლებელია განისაზღვროს, რამდენად ეფექტური იქნება ეს თანამშრომლობა, მით უფრო სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში.

უსდ-ის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად არის:

1. სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის (ბოლო ხუთი წლის მაჩვენებელი) -57%-ი; 55.5%-მა სწავლა გააგრძელა რეზიდენტურაში. 2. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის -70%-ი, 30%-მა სწავლა გააგრძელა მაგისტრატურაში. 3. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის - 87.5 %-ი. 4. ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის -48 %-ი, ხოლო მაგისტრანტების 70%-ი დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად. მედიცინის პროგრამებს ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული. სტუდენტთა ურთიერთობის სამსახური 3-წლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით გეგმავს კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნას, კვლევის ჩატარებას მათი კარიერულ, პიროვნულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით, დამსაქმებელთა რეკომენდაციის გათვალისწინებით სასწავლო პროგრამებში ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას.

ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა დააფიქსირეს, რამდენად მოთხოვნადია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კურსდამთავრებული ბაზარზე, აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით აქვს უნივერსიტეტს სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა, თუმცა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიმართულებით უნივერსიტეტის პრიორიტეტია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა, რაც მათი თქმით, კომერციული გადაწყვეტილებაა და არა დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით დათვლილი კონტიგენტის რაოდენობა. ასევე ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათი საგანმანათლებლო პროგრამაც მოთხოვნადია და აქვთ რესურსი იმისთვის, რათა მიიღონ მეტი სტუდენტი. სასურველია, უსდ-ის მენეჯმენტმა დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად კვლავ გადახედოს სტუდენტთა მისაღები რაოდენობის განაწილებას პროგრამების მიხედვით

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაქტობრივი მდგომარეობა
- გასაუბრების შედეგები

### რეკომენდაციები



- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს საერთაშორისო კავშირები, ამოქმედოს გაცვლითი პროგრამები.
- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს დამსაქმებელთა როლი და ჩართულობა, რათა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდოს.
- სტუდენტური თვითმმართველობა ოფიციალურად იყოს და თან უფრო მეტად წარმომადგენლობითი აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში.

### რჩევები

- კარიერული მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისების მიწოდების მიზნით სასურველია, გაფორმდეს დამატებითი ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან.
- უსდ-ის მენეჯმენტმა დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად კვლავ გადახედოს სტუდენტთა მისაღები რაოდენობის განაწილებას პროგრამების მიხედვით

### საუკეთესო პრაქტიკები

**6. გთხოვთ შეაფასოთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციის მატერიალური, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა).**

სრულად უზრუნველყოფს  ნაწილობრივ უზრუნველყოფს  ვერ უზრუნველყოფს

**გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები**

**მატერიალური რესურსები**

დაწესებულებას საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, მათ შორის შენობა-ნაგებობები, რომლებშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს (4478 კვ.მ.), ასევე შენობები, რომელთა იჯარიდან უნივერსიტეტი იღებს დამატებით შემოსავალს და რომელთაც უსდ მოიაზრებს ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელ ქონებად.

სასწავლო შენობაში განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კლინიკები, ადმინისტრაციული და თავისუფალი სივრცეები. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემით. მოიპოვება დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, შემუშავებულია საევაკუაციო გეგმები. ის შედგება ძველი და ახალი ფლიგელებისგან. იგეგმება ძველი ფლიგელის დანგრევა და რეკონსტრუქცია, ამის გამო მისი ინფრასტრუქტურის განვითარება ამ ეტაპზე ინტენსიურად არ მიმდინარეობს. ახალი ფლიგელი რეკონსტრუირებულია და ამ ნაწილში მდებარე აუდიტორიები აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკით. ძველ ფლიგელში აუდიტორიების ნაწილი ძალიან მცირე ზომისაა, სათანადო განათების გარეშე. უნივერსიტეტში განმარტავენ, რომ დღის საათებში მეცადინეობებისას ხელოვნური განათება არ სჭირდებათ, რაც საეჭვოა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდისთვის.

უნივერსიტეტში გვხვდება დარგის შესაბამისი ლაბორატორიები, რომელთა ნაწილი განახლებულია, სხვები კი არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტს (მათ შორის არც სამუშაო ზედაპირების

დაცულობის თვალსაზრისით). რეაქტივებისა და სახარჯი მასალების ნახვა ლაბორატორიებში ვიზიტის დროს შესაძლებელი არ იყო, რადგან მათი ნაწილი ჩაკეტილი იყო სეიფებში, ზოგ ლაბორატორიაში კი სამუშაო პროცესი ჯერ არ არის დაწყებული, არ არის დამონტაჟებული აღჭურვილობა

უნივერსიტეტმა შექმნა ანატომიის ბლოკი გარკვეული თვალსაჩინოებებით და უახლოეს მომავალში ელიან ციფრულ მაგიდას, რომელიც განკუთვნილია აუტოფსიის ციფრული შესწავლისთვის.

დაწესებულებაში არის თანამედროვედ აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი და საფანტომო ლაბორატორია სტომატოლოგიისთვის, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი პროგრამებით გათვალისწინებული უნარების განსავითარებლად საჭირო ინვენტარით. თუმცა სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში საჭირო იქნება ინვენტარისა და სახარჯი მასალების ხშირი განახლება, რაც ამ ეტაპზე კონკრეტულად გათვლილი არ არის.

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვედ აღჭურვილი საკუთარი რეაბილიტაციის კლინიკა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც პაციენტების მომსახურებას, ისე სასწავლო პროცესს „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ ფაკულტეტისთვის, სადაც კონტიგენტის გაზრდა ძალიან მცირე რაოდენობით არის დაგეგმილი.

უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის ახალ ფლიგელში დამონტაჟებულია ახალი სტომატოლოგიური სავარძლები, რომლებიც ამ ეტაპისათვის არ ფუნქციონირებს - სისტემებზე დაერთებული არ არის. მომავალში აღნიშნულ ნაწილში ივარაუდება სტომატოლოგიური კლინიკის გადმოტანა.

შენობაში არის სანიტარული კვანძები, მათ შორის შშმ პირებისათვის ადაპტებული სანიტარული კვანძები, რომელთა ნაწილი (განსაკუთრებით ახალ ფლიგელში) კეთილმოწყობილია. თუმცა, ძველ ფლიგელში არსებული სანიტარული კვანძების მდგომარეობა საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას.

დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, არსებობს სამედიცინო კაბინეტი.

უსდ-ს შენობაში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კლინიკა, რომელშიც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. კლინიკის სივრცე ვიწროა და სასწავლო პროცესისთვის მოუხერხებელი, მაშინ როდესაც აქვე ხორციელდება სარეზიდენტო პროგრამებიც. იგეგმება მისი გადატანა ახალ ფლიგელში, უფრო ფართო სივრცეში, თუმცა ამ ეტაპზე კაბინეტების ფართობი ვიწროა და ვერ უზრუნველყოფს ჯგუფში მყოფი 15 სტუდენტის ერთდროულ დაკვირვებას პროცედურებზე. როგორც ინტერვიუების შედეგებით ირკვევა, სტუდენტების ნაწილი პრაქტიკული მეცადინეობის და კურაციების დროს იცდის დერეფანში, სანამ დანარჩენები მანიპულაციას აკვირდებიან/ეუფლებიან.

საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში გამოყოფილია წიგნსაცავის, დარბაზის, პერსონალის სამუშაო სივრცეები. არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, ასლის გადაღების/სკანირების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აკმაყოფილებს პროგრამებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოები არის როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმატით. წიგნების უმეტესობა ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით არა მხოლოდ ბიბლიოთეკიდან, არამედ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან. აღსანიშნავია, რომ გარკვეული წიგნები ნაბეჭდი ფორმით ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია

მხოლოდ თითო ასლით, დამატებითი ეგზემპლარები კი — ქსეროასლების სახით. აღნიშნული ექვეყნებში აყენებს გამომცემლების საავტორო უფლებების საკითხს.

სტუდენტებსა და პერსონალს აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე ნებისმიერი სხვა კომპიუტერიდან მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. ბიბლიოთეკის პერსონალი ფლობს ბაზების გამოყენების უნარებს და შეუძლია, დახმარება გაუწიოს დაინტერესებულებს. სტუდენტები ადასტურებენ, რომ იყენებენ აღნიშნულ ბაზებს.

ბიბლიოთეკაში დასაქმებულ პირებში რამდენიმე ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების ინსტრუქტაჟს.

აკადემიური პერსონალის მოთხოვნისა და სილაბუსის განახლებების მიხედვით ბიბლიოთეკის ბაზა პერიოდულად ახლდება.

#### ფინანსური რესურსები

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა 2019-2020 ბიუჯეტი, სადაც გაწერილია ჯამური მოსალოდნელი შემოსავალი და მოსალოდნელი ხარჯები. მოსალოდნელი ხარჯებში ასახულია სავარაუდო ციფრები, რომელიც გამოყვანილია გასული წლების პროცენტული გადაანგარიშებით. სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილია 263 640 ლარი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო კუთხით განვითარების ფინანსურ მხარდაჭერას. რაკი სასწავლო უნივერსიტეტს დაწყებული აქვს სამეცნიერო მიმართულებით გამოყენებითი კვლევისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა (შემენილია ძვირადღირებული აღჭურვილობა), რომელიც სამომავლოდ საჭიროებს კვლევის განვითარებას (კვლევისთვის საჭირო მიმდინარე ხარჯები). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა 2019-2020 წლის ბიუჯეტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა. გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ ამგვარი დეტალური ბიუჯეტი ამ ეტაპზე არ არის დათვლილი და მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე, როგორ მოხდა ამ კვლევითი პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციის მიერ წინასწარი ბიუჯეტის გათვლის გარეშე, რექტორის მოდგილემ სამეცნიერო დარგში აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა მხოლოდ შინაარსობრივი ნაწილი, ბიუჯეტის გარეშე.

აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის განაწილება სტრატეგიული გეგმით დაგეგმილი აქტივობების მიხედვით ბუნდოვანია, რაც სტრატეგიული გეგმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას და მდგრადობას რისკის ქვეშ აყენებს. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ფინანსურმა სამსახურმა განაცხადა, რომ აღნიშნული თანხები დეფიციტის შემთხვევაში გადმოქაჩული იქნება გეგმიური დაგროვების რეზერვიდან, რომელიც შეადგენს 659 100 ლარს.

#### საინფორმაციო რესურსები

სტუდენტთა და პერსონალის კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგიის მიხედვით უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს 20 სტუდენტზე 1 კომპიუტერის არსებობა. უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ადგილზეა 150 კომპიუტერი, რომელთაგან 30-ს ადმინისტრაციის თანამშრომლები იყენებენ, 40 საგამოცდო ცენტრშია განთავსებული და სტუდენტთა თავისუფალი წვდომისათვის განკუთვნილია დანარჩენი 80 კომპიუტერი (რომელთა ნაწილი მდებარეობს საგამოცდო ცენტრის დამატებით ოთახში და კომპიუტერულ კლასში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს მათი გამოყენება შეუძლიათ). ამ გათვლით უნივერსიტეტს შეუძლია,

მოემსახუროს მხოლოდ 1600 სტუდენტს.

გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მიღება გაწერილია მომდევნო ოთხი წლის გაანგარიშებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი იქნა კონტიგენტის ზრდის შესაბამისად გაწერილი სავარაუდო გრძელვადიანი ბიუჯეტი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი უსდ-მ ვერ წარმოადგინა.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- 2019-2020 წლის ბიუჯეტი
- შენობა-ნაგებობის ფლობის დოკუმენტაცია
- საევაკუაციო გეგმა
- სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ფაქტობრივი მდგომარეობა
- გასაუბრების შედეგები

### **რეკომენდაციები**

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სათანადო სასწავლო ფართის რეკონსტრუქცია / გარემონტება სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით.
- უნივერსიტეტმა სასწავლო ოთახების, კლინიკის კაბინეტებისა და ლაბორატორიების დაგეგმარებისას უნდა გაითვალისწინოს ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა და ამის მიხედვით გათვალისწინოს საჭირო სივრცე.
- უნივერსიტეტმა უნდა მოაწიოს ყველა სამეცნიერო ლაბორატორია უსაფრთხოების სტანდარტის გათვალისწინებით.
- უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს სამომავლო ბიუჯეტი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, გაითვალისწინოს სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის მონაცემები.
- უნივერსიტეტმა ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს სამეცნიერო საჭიროების სახარჯი მასალები და ინვენტარი, დეტალურად გაწეროს მათი მოსალოდნელი ხარჯი.
- უნივერსიტეტმა უნდა გაამლიეროს ფინანსური სამსახურის მონაწილეობა კვლევითი პროექტების განხილვისა და დამტკიცების პროცედურებში.

### **რჩევები**

#### **საუკეთესო პრაქტიკები**

- უსდ-ს საკუთრებაში მყოფი „ფიზიკური რეაბილიტაციის კლინიკა“
- საუკეთესოდ აღჭურვილი ანატომიისა და კლინიკური უნარების დეპარტამენტები
- საკუთარი სტომატოლოგიური საფანტომო ლაბორტორია

